პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 132
(4382)

1971 წ.
4 ივლისი,
კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1924 წლის
18 აპრილიდან

„ცისკრის" ფინალი

ამ დღეებში გორში გაიმართა სამხედრო-სპორტული თამაშის — „ცისკრის" რესპუბლიკური ფინალი. შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვეს ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის ნორჩმა არმიელებმა. ბათუმელთა რაზმმა პირველი ადგილი დაიკავა და „ცისკრის" საკავშირო ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ამ რაზმის წევრებს გადაეცათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მთავარი პრიზი, სიგელი და საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის პრიზი. II ადგილზე გავიდნენ დუშეთის რუსული საშუალო სკოლის არმიელები. დუშელებს გადაეცათ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრიზი. III ადგილი გორის მე-6 საშუალო სკოლის რაზმმა დაიკავა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პრიზი მოიხვეჭა. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" პრიზი წილად ხვდა ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის საბავშვო სახლის ნორჩ არმიელთა რაზმს.

სურათებზე: რბენაში, კარვის გაშლასა და ხტომაში ასპარეზობის მომენტები.

რ. რუხიკიანის ფოტო.

სპორტული ივლისი

ივლისი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის თვეა. მაგრამ გარდა ამ დიდი ღონისძიებისა გაიმართება კიდევ 120 საერთაშორისო შეჯიბრება. გაგაცნობთ მათგან უმთავრეს ტურნირებს:

აკადემიური ნიჩბოსნობა

4. საერთაშორისო შეჯიბრება — „მილანის რეგატა" (იტალია).
9-11. სსრ კავშირის თასი ვაჟთა შორის (მოსკოვი).
16-18. სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა" (ფსკოვი).
16-18. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის (შიაულიაი).
23-25. სსრ კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა შორის (მოსკოვი).
24-25. საერთაშორისო შეჯიბრება — „კოპენჰაგენის რეგატა" (დანია).

აკრობატიკა

16-18. სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის (კუიბიშევი).

ველოსპორტი

4-8. სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა" (ბულგარეთი).
5-10. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (ტრეკი, ტულა).
6-7. საერთაშორისო შეჯიბრება — „გდრ-ის დიდი პრიზი" (ტრეკი, გდრ).
14. საერთაშორისო შეჯიბრება ქალთა შორის (ტრეკი და გზატკეცილი, საფრანგეთი).
14-18. იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრება — „ბოჰემიის ტური" (ჩეხოსლოვაკია).
16-18. საერთაშორისო შეჯიბრება ოლიმპიური პროგრამით (გდრ).
20-23. სსრ კავშირის ჩემპიონატი (სალიდერო რბოლა ტრეკზე, ნოგინსკი).

კალათბურთი

10-17. ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის (იტალია).
31. VII-1. VIII. ევროპის ჩემპიონატი გოგონათა შორის (იუგოსლავია).

კრივი

22-27. სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა შორის (პეტროზავოდსკი).

მშვილდოსნობა

28-31. მსოფლიო ჩემპიონატი (დიდი ბრიტანეთი).

მძლეოსნობა

31. VII-1. VIII. სსრ კავშირის პირველობა იუნიორთა შორის (დნეპროპეტროვსკი).

რაგბი

14-18. სსრ კავშირის ჩემპიონატი. I ჯგუფი, I ტური (ლენინგრადი, მონინო (მოსკოვის ოლქი).

საპარაშუტო სპორტი

16-23. საერთაშორისო შეჯიბრება (ტულა).
23-30. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (ჩეხოსლოვაკია).

სასტენდო სროლა

8-11. სსრ კავშირის პირველობა იუნიორთა შორის (სვერდლოვსკი).

საცხენოსნო სპორტი

4. სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის (მოსკოვი).

ტყვიის სროლა

6-12. სსრ კავშირის პირველობა იუნიორთა შორის (ვილნიუსი).

ფარიკაობა

5-16. მსოფლიო ჩემპიონატი (ავსტრია).

ფრენბურთი

17-25 სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენ გოგონათა საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა" (ჩეხოსლოვაკია).

ჩოგბურთი

18-25. საკავშირო შეჯიბრება (რიგა).
19-21. ევროპის გუნდური პირველობა გოგონათა შორის (საფრანგეთი).
19-25. სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის (ტალინი).

ცურვა

10-12. საერთაშორისო შეჯიბრება (აშშ).

წყალბურთი

4-7. სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (ბუდაპეშტი).
8-12. სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (რუმინეთი).
27-31. სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა" (რუმინეთი).

წყალში ხტომა

4. საერთაშორისო შეჯიბრება (შვეცია).
9-10. სსრ კავშირისა და გდრ-ის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მატჩი (გდრ).
10-11. სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების მატჩი (მოსკოვი).
13-18. საკავშირო შეჯიბრება ჭაბუკთა და გოგონათა შორის (ვოლგოგრადი).
25-30. სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის (ვოლგოგრადი).

ჭადრაკი

24. VII-14. VIII. მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის (საბერძნეთი).

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19^{45}

უკვე რეკორდი!

ციურიხი, 2 ივლისი. 1974 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო დარჩა, მაგრამ მან უკვე ადრინდელ რეკორდს საგრძნობლად გადააჭარბა: ამ ტურნირში მონაწილეობის სურვილი 91 ქვეყანამ გამოთქვა. გაგახსენებთ, რომ მეხიკოს ჩემპიონატის საგზურის მისაღებად იბრძოდნენ 69 სახელმწიფოს ფეხბურთელები.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური განცხადებით, მომავალ ჩემპიონატში ყველაზე მეტ გუნდს გამოიყვანს ევროპა — 33, აფრიკა — 23, ჩრდილო და ცენტრალური ამერიკა, აგრეთვე კარიბის ზღვის ქვეყნები — 13, სამხრეთ ამერიკა — 9, აზია — 11, ოკეანია — 2. შეიძლება ეს რიცხვი კიდევ გაიზარდოს, რადგან ზოგიერთი განაცხადი „30 ივლისის" შტემპელით ჯერ კიდევ გზაშია.

ჩემპიონატის წინასწარი თამაშების კენჭისყრა ჩატარდება 17 ივლისს დიუსელდორფში (გფრ).

მძლეოსნობის ახალი ამბები

პრაღა, 2 ივლისი. აქ სტარტი მიეცა ე. როშიცკის სახელობის მემორიალს, რომელიც წლეულს მეოცედ ტარდება. სარბიელზე გამოდიან სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები. ლენინგრადელი ვ. ხემიაშკინი პირველი იყო 1500-მეტრიან დისტანციაზე — 3.43,6. მან გაუსწრო ისეთ ცნობილ სპორტსმენებს, როგორებიც არიან პ. პენკავა (ჩეხოსლოვაკია) და ა. კუპჩიკი (პოლონეთი), ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. რეზკოვა-პიუბნეროვამ — 180 სმ. სამხტომში უძლიერესი იყო კუბელი სპორტსმენი პ. დუნიასი — 16,38 მ. ლ. ნადენიჩეკის (ჩეხოსლოვაკია) შედეგი 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,5 — ერთ-ერთი საუკეთესოა წლეულს ევროპაში.

მილანი, 2 ივლისი. იტალიის ამ ქალაქში მიმდინარეობს მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 18 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძვიან გამარჯვებისთვის. 1500 მეტრზე რბენაში ტოლი არ ჰყავდა ამერიკელ მ. ლიკერის — 3.36,0. მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ჯ. სილვესტრი II ადგილს დასჯერდა — 63,80 მ. აქ პირველი იყო უნგრელი დ. ფეიერი — 63,90 მ. ამერიკელი სიმაღლეზე მხტომელი რ. ბრაუნი, რომელსაც ეკუთვნის ამ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი — 221 სმ, II ადგილზეა — 210 სმ. გაიმარჯვა ლ. დოსტერმა (გფრ) — 215.

ოსლო, 2 ივლისი. სამი ქვეყნის — დანიის, ნორვეგიისა და შვეციის მძლეოსანთა ასპარეზობისას გ. ანდერსონმა დაამყარა ნორვეგიის ახალი რეკორდი 1500 მეტრზე რბენაში — 4.17,0

სკანდინაველ მძლეოსან ქალებს არასდროს გაურბენიათ 1500 მეტრი ასე სწრაფად.

ჰელსინკი, 2 ივლისი. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ფინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო ასპარეზობის მიმდინარეობაზე. შეჯიბრების მორიგ დღეს მადაგასკარელმა ქ-ლ. რაველომანანტასოამ 100 მეტრის გარბენას ზუსტად 10 წამი მოანდომა. 10-კილომეტრიან დისტანციაზე იუგოსლაველმა დ. კორიცამ აჩვენა მსოფლიოში მეოთხე შედეგი — 28.16,6 (იუგოსლავიის რეკორდი). 1500 მეტრზე რბენაში ფინეთის ახალი რეკორდი დაამყარა პ. ვასალამ — 3.38,6, რომელმაც გაუსწრო ამ დისტანციაზე ოლიმპიურ ჩემპიონს, კენიელ ქ. კეინოს — 3.39,2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სპარტაკიადის სტარტები

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის საზეიმო გახსნა მოეწყობა მოსკოვში 16 ივლისს, მაგრამ უკვე თვის დასაწყისშივე შეჯიბრებები გაიმართება სპორტის რამდენიმე სახეობაში. ასე მაგალითად, მშვილდოსნებმა გუშინ დაიწყეს ასპარეზობა და 6 ივლისს დაამთავრებენ. სპარტაკიადის საზეიმო დახურვა გაიმართება 30 ივლისს. გაგაცნობთ შეჯიბრებათა თარიღებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

7—8. აკადემიური ნიჩბოსნობა.
7—17. კალათბურთი.
16—18. ველოსპორტი (გზატკეცილი).
16—18. ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა.
16—18. კლასიკური ჭიდაობა.
16—18. სამბო.
16—19. მძლეოსნობა
16—24. ძალოსნობა.
17—21. თანამედროვე ხუთჭიდი.
17—24. აფროსნობა.
21—25. ტანვარჯიში.
19—29. ფრენბურთი.
19—29. ხელბურთი.
21—25. საცხენოსნო სპორტი.
20—29. წყალბურთი.
21—23. თავისუფალი ჭიდაობა.
21—29. კრივი.
22—23. სასტენდო სროლა.
22—29. ფარიკაობა.
24—28. ველოსპორტი (ტრეკი).
24—29. წყალში ხტომა.
25—29. ცურვა.
26—29. ტყვიის სროლა.

აფროსანთა შეჯიბრება რიგაში გაიმართება.

მეხუთე, ლიტვური

ვილნიუსის „ჟალგირისის" ცენტრალურ სტადიონზე აგიზგიზდა ტრადიციული ცეცხლი, რომელიც ლიტვის სპორტსმენებმა მეომართა საძმო საფლავიდან მოიტანეს. საზეიმოდ აღიმართა ლიტვის V სპარტაკიადის ალამი.

სპორტსმენებსა და მრავალრიცხოვან მაყურებლებს ლიტვის კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით მიულოცა ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. დირჟინსკაიტე-პილიუშენკომ. სპორტის მოყვარულებს მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. როგულსკი.

რესპუბლიკის V სპარტაკიადა ფიზკულტურული მოძრაობის ნამდვილ დათვალიერებად იქცა. მის ყველა ეტაპზე შეჯიბრებაში მონაწილეობდა დაახლოებით ნახევარ მილიონამდე კაცი. სპორტული შეჯიბრებები გაიმართა 2600 საწარმოში, დაწესებულებაში, სკოლასა და მეურნეობაში.

ფინალური შეჯიბრებების დასკვნით ეტაპს სპარტაკიადის მონაწილენი 30 რესპუბლიკური, 170 საქალაქო და 370 რაიონული რეკორდით იწყებენ. სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა 90 სპორტსმენმა. მათგან თითქმის ათასმა ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის შედეგები აჩვენა.

სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვლინდება 5 ივლისს, ლიტვის მოსწავლეთა 24-ე სპარტაკიადის ფინიშის შემდეგ.

ე. ბალეიშისი,
(საკდესის კორ.).

ვილნიუსი.

ჩემპიონები და დამკვრელები

დამთავრდა ბელორუსიის V საზაფხულო სპარტაკიადა. უძლიერესნი მოსკოვში გამართულ დიდ სპორტულ ფორუმში გამოვლენ. მაგრამ სასპარტაკიადო შეჯიბრებები გრძელდება. ტურნირები ტარდება ქარხანა-ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურის კოლექტივებში. კერძოდ, ფინალური შეჯიბრებებისთვის ემზადებიან მინსკის ტრაქტორების ქარხნის სპორტსმენები. საწარმოს სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის თერთმეტი სახეობაა შეტანილი.

სპორტული კლუბი „ტრაქტორი" ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში. მას ბევრჯერ დაუკავებია საპრიზო ადგილები დათვალიერებებსა და კონკურსებში.

აქ აღიზარდა ბევრი სპორტსმენი, რომელთა ოსტატობაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაა განთქმული. დავასახელოთ, მაგალითად, ქვეყნის ნაკრების კანდიდატი კლასიკურ ჭიდაობაში ა. ზელენკო, საწარმოში ახლა 500-ზე მეტი საზოგადოებრივი ინსტრუქტორია. ბოლო ხუთი წლის მანძილზე „ტრაქტორმა" 20-ზე მეტი სპორტის ოსტატი და 9 ათასი თანრიგოსანი სპორტსმენი მოამზადა.

ტრადიციის მიხედვით, ტრაქტორების ქარხანაში ფინალურ შეჯიბრებებს წინ უსწრებს სტარტები საამქროებსა და განყოფილებებში. ამჟამად უძლიერესნი არიან საჩამომსხმელო საამქროების ფიზკულტურელები. მათი უმეტესობა კომუნისტური შრომის დამკვრელია.

პ. დუბოვი,
(საკდესის კორ.).

მინსკი.

16 ივლისს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადა. ახლა მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები ამ დიდი შეჯიბრებისთვის ემზადებიან.

კოსტრომაში რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამარჯვებისთვის რუსეთის ფედერაციის 20 მხარის, ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკის 150 ცხენოსანი იბრძოდა. I ადგილი დაიკავეს როსტოვის ოლქის წარმომადგენლებმა.

ს უ რ ა თ ზ ე: დაბრკოლებათა გადალახვის პირად ჩათვლაში გამარჯვებული. ა. პურტოვი (მოსკოვის ოლქი) ტრასაზე.

ი. დინინის ფოტო,
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ასე უნდა თამაში ყოველთვის!

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2 ივლისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 2:0 (1:0).

„ტორპედო": გრძელიშვილი, აბზიანიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, ფრიდმანი (ერქომაიშვილი), ოქროპირაშვილი, ძაგანია, ჭოლაძე, ვეკუა (მაზიაშვილი), ხერხაძე, ხუციშვილი.

„ლოკომოტივი": მილესი, ვაშჩენკოვი, გონჩაროვი, კლიკოვი, ბელიაკოვი, ჟურავლიოვი, შელუდკო (მოზგუხინი), სპირიდონოვი (პოპკოვი), დიმიტრიადი (იანკინი), კოტოვი, ტიმოფეევი.

მსაჯი ვ. სამოლაზოვი (დონის როსტოვი).

დუბლიორები — 1:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

მოსკოვის რკინიგზელები კარგა ხანია ერთპიროვნულ ლიდერთა როლში გამოდიან „ა" კლასის I ლიგის გუნდებს შორის. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელიც ქუთაისელმა სპორტის მოყვარულებმა გამოიჩინეს მათი გამოსვლის მიმართ.

უპირველესად ყოვლისა, საყურადღებო იყო ის, თუ რის შემწეობით აღწევენ ლოკომოტიველები ასეთ წარმატებებს და უმაღლეს ლიგაში დაბრუნების პირველი კანდიდატები არიან. გუნდი საუკეთესოდაა მომზადებული ფიზიკურად, კარგად უძლებს მაღალ ტემპს და დიდ დატვირთვებს, ფეხბურთელები თამაშობენ ტაქტიკურად გამართულად, ბურთის გაუჩერებლად, სწრაფი კომბინაციებით. ასეთ ძლიერ ძალად მოგვევლინა ლიდერი 2 ივლისს ქუთაისში, მაგრამ მან მაინც განიცადა დამარცხება და ამაში გასაკვირი არაფერია: დიდი ხანია ქუთაისელებს თავიანთი მაყურებლისთვის არ უჩვენებიათ ასეთი მონდომებული, ენერგიული, მოფიქრებული მაღალკვალიფიციური თამაში.

უნებურად ისმება კითხვა: შეუძლია თუ არა ქუთაისის „ტორპედოს" ყოველთვის იდგეს ასეთ სპორტულ დონეზე? რასაკვირველია, ვერავინ მოითხოვს ყველა მატჩის ჩატარებას მაქსიმალური შესაძლებლობებით, უშეცდომოდ. ასე ფეხბურთში არ ხდება. მაგრამ ჩვენი გუნდის მიმართ მაინც უნდა ვთქვათ, რომ წლეულს მთელ რიგ შემთხვევებში იგი თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად გამოიყურებოდა და სრულიად გაუმართლებლად აქვს ასეთი დანაკლისი ქულებში.

ავიღოთ, თუნდაც, ტორპედოელთა ცენტრალური თავდამსხმელი ხერხაძე. იგი შესანიშნავი იყო ამ მატჩში, მოძრაობდა ვრცელ ტერიტორიაზე, იხსნებოდა პარტნიორთა ყოველი გადაცემისას, აქტიურად მონაწილეობდა ყველა კომბინაციაში და სისტემატურად ემუქრებოდა მოწინააღმდეგის კარს. მაგრამ განა ყოველთვის ასე თამაშობს ხერხაძე? რა თქმა უნდა, არა. ეს კი საგრძნობლად ეტყობა ხოლმე გუნდს.

ლოკომოტიველებს ცდა არ დაუკლიათ გარდატეხა შეეტანათ თამაშში. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს და ქუთაისელთა მეკარე გრძელიშვილს მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა მათი უვნებელყოფისთვის. შეთანხმებულად, კარგი დაზღვევით მოქმედებდნენ მცველები, სადაც გამოირჩეოდნენ წვერავა და ჭოხონელიძე. ძლიერად ითამაშეს ნახევარმცველებმა, რომლებიც თანაბარი სარგებლიანობით ეხმარებოდნენ როგორც წინა, ისე უკანა ხაზების მოთამაშეებს. თავდასხმაში დაუღალავად იბრძოლეს ვეკუამ, ხუციშვილმა.

ერთი სიტყვით, ტორპედოელებმა დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს თავიანთი თამაშით და დამსახურებულად დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი".

ანგარიში 42-ე წუთზე გახსნა ხუციშვილმა. მან დროზე მიუსწრო ბურთს, რომელიც მილესს გაუვარდა ხელიდან ხერხაძის ძლიერი დარტყმის შემდეგ — 1:0.

67-ე წუთზე ხუციშვილმა კარგად მიაწოდა ბურთი ხერხაძეს და ამ უკანასკნელმა მეორედ აიღო მოსკოველთა კარი.

ამ საუკეთესოდ ჩატარებულმა მატჩმა სტიმული უნდა მისცეს ქუთაისელ ფეხბურთელებს მომავალ ბრძოლებში წარმატებათა მისაღწევად.

ზ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ტორპედოელები ზეიმობენ პირველ გოლს „ლოკომოტივის" კარში. მეკარე ლ. მილესთან ბრძოლაში ბურთი გააქვს ე. ხუციშვილს.

ლ. ფანჩუაშვილის ფოტო.

I ლიგა

ფეხბურთის
საკავშირო
ფედერაციაში

შეუფერებელი საქციელისთვის — სასჯელი

გაიმართა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის სპორტ-ტექნიკური კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც იმსჯელა დისციპლინის მთელი რიგი დარღვევების თაობაზე, დეტალურად გაეცნო „ნევთჩისა" და დონეცკის „შახტიორის" მატჩის მასალებს, რომელიც წარმოადგინა მსაჯთა ბრიგადამ ვ. ლიპატოვის მეთაურობით. განხილულ იქნა პროტესტი, რომელიც შეადგინა „შახტიორის" უფროსმა მწვრთნელმა ა. ფალიანმა. იგი არ მიიღეს. ამ მატჩში უდისციპლინო მოქმედებისთვის „შახტიორის" მოთამაშეს ეგიაზარიანს აეკრძალა მორიგ 2 მატჩში გამოსვლა.

მატჩის შემდეგ მწვრთნელისთვის შეუფერებელი საქციელისთვის ა. ფალიანი მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მინსკისა და კიევის დინამოელთა განვლილ კალენდარულ მატჩში, რომელიც კიეველებმა მოიგეს (1:0), გოლის ავტორი იყო პუზაჩი.

მოსკოვის „დინამოს" ცსკასთან შეხვედრაში გამარჯვება მოუტანა ეშტრეკოვის მიერ გატანილმა გოლმა.

4 ნახევარფინალისტი ცნობილია

2 ივლისს სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მეოთხედფინალურ მატჩში მოსკოვის სპარტაკელებმა მიიღეს ალმა-ათის „ყაირათი". ოსიანინის მიერ გატანილმა გოლმა გამარჯვება მოუტანა სპარტაკელებს.

გამოვლინდა ნახევარფინალის ოთხივე მონაწილე:

როსტოვი:
სკა (როსტოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი)
მოსკოვი:
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ნევთჩი" (ბაქო)
ორივე მატჩი შედგება 24 ივლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ ფეხბურთთან

ფეხბურთის ცნობილმა მიმომხილველმა, ჟურნალისტმა მ. მერჟანოვმა დაამთავრა მოგონებათა წიგნი, რომელსაც „მუდამ ფეხბურთთან“ უწოდა. ვბეჭდავთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან.

მოხეტიალე ფორვარდი

იურიდიული კოდექსი გვამცნობს: კანონის არცოდნა კაცს არ ამართლებსო.

თბილისის დინამოელები ახალი საფეხბურთო კანონის არცოდნას შეეწირნენ. ეს მოხდა 1938 წელს, დედაქალაქის „სპარტაკთან“ შეხვედრის დროს.

ამ მატჩის გახსენება თუნდაც ერთი რამის გამო ღირს: მან დაგვიდასტურა, რომ კარგი გუნდიც კი შეიძლება უმწეო აღმოჩნდეს, თუ ახალ ტაქტიკურ კანონებს არ ეყრდნობა.

არ შეიძლება ითქვას, რომ თბილისელები თავიანთ მეტოქეებს ჩამოუვარდებოდნენ. ეგ კი არა და, იმ დროს ვის ჰყავდა შეტევის ისეთი ოსტატი, როგორიც თბილისის „დინამოს“ — ბორის პაიჭაძე. მაგრამ გუნდმა მაინც წააგო და ისიც დიდი ანგარიშით.

მატჩის შემდეგ ერთ-ერთმა თბილისელმა ფეხბურთელმა მითხრა: მინდორზე ისე ვგრძნობდით თავს, როგორც ბასკებთან მატჩში, თუმცა მათთან უფრო ნაკლები ანგარიშით წავაგეთო.

ამ სიტყვებში იყო რაღაც სიმართლე. „სპარტაკთან“ თბილისელები აშკარად დაღუპა მოთამაშეთა მოძველებულმა განლაგებამ, ხოლო თამაშის მსვლელობის დროს გადაადგილების ცდამ კავშირი დაარღვია არა მარტო ხაზებს, არამედ რგოლებს შორისაც.

„სპარტაკმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 6:1, ამასთან, ერთადერთი ბურთი მოსკოველთა კარში გაიტანა... ანდრეი სტაროსტინმა. მას ბორის პაიჭაძის წინ ახალი პოზიცია ეჭირა და დინჯად, თავდაჯერებით თამაშობდა, მაგრამ იმ დრომდე, სანამ თბილისელი მკვეთრად არ გაიჭრა ფლანგზე და გ. ჯეჯელავასთან ადგილების გაცვლა დაიწყო.

სტაროსტინს ცენტრალური თავდამსხმელი ჰყავდა ჩაბარებული და ახლა მისი ამოცანა ერთობ გართულდა. მსგავს მანევრს იგი არ ელოდა, ვინაიდან ჯერაც არავის ეთამაშნა ასე. ფორვარდები ათაღან-ბაბადან თავიანთ საზღვრებში მოქმედებდნენ და ამ ფარგლების გადალახვა ტაქტიკური დისციპლინის დარღვევად ითვლებოდა.

ეს დარღვევა კი მოხდა. ახლა რაღა ქნას? მიატოვოს თავისი პოზიცია, პაიჭაძეს გაედევნოს ფლანგზე და ჯეჯელავა თავისუფლად დატოვოს, თუ ადგილზე დარჩეს. როცა პაიჭაძე განაპირა მცველს ატყუებს და დაუბრკოლებლად მიიწევს კარისკენ?

სტაროსტინი უკან დახევას შეუდგა. ერთ რომელიღაც მომენტში მან გადაწყვიტა პაიჭაძეზე მიეტანა იერიში, მაგრამ ამ უკანასკნელმა სწრაფად გადაუგდო ბურთი თავის პარტნიორს. სტაროსტინმა ბურთს ფეხი დაუდო, გადაცემის ჩაჭრა უნდოდა. მაგრამ ბუცის წვერით მას პირდაპირ საკუთარ კარში უკრა თავი...

ეს ეპიზოდი იმ მიზნით როდი გავიხსენე, რომ კიდევ ერთხელ დამემტკიცებინა თამაშის ახალი სისტემის უპირატესობა. არა. მინდოდა მეთქვა, როგორ უჭირდა ცენტრალურ მცველს, როცა მისი მოპირდაპირე ფორვარდი გადიოდა მიჩვეული, ნაცნობი ზონიდან. ამ დროს იწყებოდა მანევრული თამაში და საჭირო იყო მასთან ბრძოლის ხერხი გამოეძებნა. მაშინ თბილისში პირველად ვიხილე ბორის პაიჭაძის ნიჭის სრული, ნათელი გამობრწყინება. პაიჭაძე სხვა ფორვარდებისგან მკვეთრად გამოირჩეოდა გაბედული მანევრებით შეტევის მთელს ფრონტზე და, რასაკვირველია, მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ მანევრული ფეხბურთის ფუძემდებელი ჩვენს ქვეყანაში. შემთხვევითი როდია, რომ მას ხელათვე შეარქვეს „მოხეტიალე ფორვარდი“. მაგრამ მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ წარმოვიდგენდით, რომ პაიჭაძის თამაში სათავეს დაუდებდა იმ კალაპოტის მსხვრევას, რომელშიც სწორხაზობრივად, შაბლონურად მოქმედებდნენ ფორვარდები.

ეს მანევრი იშვა, როგორც მეტოქის კარისკენ ახალი გზების ძიების თამაში ცდა. იგი ინტუიციური იყო.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, პაიჭაძის მანევრმა შეცვალა ინგლისური „დუბლვეს“ თამაში, სრულყო სისტემა და მასში შეიტანა სიახლე, რომელიც ჩვენი საბჭოური ვარიანტის განმასხვავებელი ნიშანი გახდა. მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ მოხდა, მაშინ კი, 1938 წელს, პაიჭაძე ერთადერთი იყო, მის თამაშს მხოლოდ აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ. თბილისელი ფორვარდის წარმატებას განაპირობებდა ბურთის ფლობის უმაღლესი ტექნიკა, სისწრაფე, მინდვრის კარგი ხედვა და მოქნილი ტაქტიკა.

ბორის პაიჭაძე საბჭოთა ფეხბურთში შევიდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ცენტრალური თავდამსხმელი თვითმყოფადი ხელწერით, თამაშის თავისებური გაგებით, თავისი შეხედულებებით ტაქტიკურ ევოლუციაზე. იგი გადაჭრით ამსხვრევდა ყველაფერს მოძველებულს, უინტერესოს, ყველაფერს ისეთს, რაც თამაშის განვითარებას უშლიდა ხელს. ამიტომ პაიჭაძე მუდამ რაღაც ფარულ, ზოგჯერ კი უკვე დაუფარავ ოპოზიციაში ედგა იმ მწვრთნელებს, რომლებიც ზღუდავდნენ მის შესაძლებლობებს და მხარს უჭერდნენ მჩამჩარეულ, გაცვეთილ „ტაქტიკურ კანონებს“, ან ბრმად გადმოჰქონდათ სხვა გუნდების გამოცდილება.

პაიჭაძე ლიდერი იყო, შესანიშნავად უბამდა მხარს თავის პარტნიორებს თავდასხმაშიც და ნახევარდაცვაშიც, კოლექტიურად მოქმედებდა და საჭირო მომენტში კარგად ცვლიდა ასეთ თამაშს ხელსაყრელ პოზიციაზე ინდივიდუალური გარღვევით. ასე თამაში მას უყვარდა, სრულყოფდა ამ ხერხს. ამ ბრწყინვალე და თითქოს მექანიკურ დინამიკაში მჩქეფარე ენთუზიაზმი იგრძნობოდა.

მაგრამ შემდეგ ერთმა საბჭოთა სპეციალისტმა მოინდომა სისწრაფის გაზრდა და „ერთის შეხებით“ თამაშის პრინციპი გამოიგონა. ფეხბურთელს ბურთის მიღების შემდეგ არც ერთი წამით არ უნდა შეეჩერებინა იგი და მყისვე გადაეცა პარტნიორისთვის, რითაც წინ მოძრაობას გააგრძელებდა.

ეს თავისთავად კარგი პრინციპი — ფეხბურთელთა მრავალმხრივი მოქმედების მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტი იყო, იგი მოითხოვდა მაღალ ტექნიკას, იერიშის უკეთ გასაგრძელებლად ბურთის ყველაზე საჭირო ადგილისკენ გაგზავნის უნარს.

ასეთ ტაქტიკას დიდი ხნის განმავლობაში მრავალი წუნი მოსდევდა და, რასაკვირველია, საჭირო ეფექტს არ იძლეოდა. მწვრთნელები კი გასაოცარი შეუპოვრობით, მბრძანებლური კილოთი მოითხოვდნენ „ერთის შეხებით“ თამაშს. ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ ამით ფეხბურთელებს ინდივიდუალური მოქმედების შესაძლებლობას ართმევდნენ, სპობდნენ. დავიწყებას აძლევდნენ თამაშის ისეთ ფორმებს, როგორიცაა დრიბლინგი და ფინტი. ამან წარმოშვა ცალმხრივ განვითარებულ ფეხბურთელთა მთელი პლეადა, რომელთაც შეეძლოთ მხოლოდ კარგად რბენა და პარტნიორისთვის ბურთის შეუფერხებელი გადაცემა, ისიც უზუსტოდ.

ასე ლატაკდებოდა თანდათან ფორვარდების შესაძლებლობები. ვიღაცამ ენამოსწრებულად მონათლა ასეთი თამაში ორი სიტყვით: „ურტყი და ირბინე“. სწორედ ამის წინააღმდეგ აღდგა ბორის პაიჭაძე, ვინაიდან მან ახალ ტექნიკაში დაინახა ის ზედმეტი, რაც ხელს უშლიდა არა მარტო ფეხბურთელთა მოქმედებას, არამედ აზროვნებასაც. იგი ფეხბურთში ცხოვრობდა თავისებურად, კოლექტიურ თამაშს ინდივიდუალურს უხამებდა, რისთვისაც ბევრჯერ მოუსმენია მწვრთნელთა დამტუქსველი სიტყვები.

საჭირო რომ ყოფილიყო პაიჭაძის საფეხბურთო შემოქმედების დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა, პირველ ყოვლისა, უნდა გვეთქვა, რომ იგი გამოირჩეოდა შეტევის ახალი სახეების, პარტნიორებთან კავშირის ახალი ფორმების, არა მარტო თავისი „აკადემიური საზღვრებიდან ფლანგზე გასვლის, არამედ მინდვრის სიღრმეში მანევრებით გზების ძიებითაც, ესე იგი ყველა იმ ელემენტით, რომელიც შემდგომ ჩვენი საუკეთესო გუნდების თამაშში ვიხილეთ. მაგრამ „მოხეტიალე ფორვარდი“ არა მარტო ბურთით მოძრაობდა მთელს მინდორზე, არამედ უბურთოდაც ხშირად „დაეხეტებოდა“.

ამით იგი არა მარტო გეგმებს ურევდა მცველებს, რომლებიც მკაცრად განსაზღვრულ პოზიციებს იყვნენ მიჩვეული, არამედ დაცვის მთელ სისტემასაც ურყევდა საძირკველს.

თბილისის დინამოელებმა საწვრთნელ მეცადინეობებზე დაამუშავეს „მოხეტიალე ფორვარდთან“ უბურთოდ თამაში და პირველად გამოიყენეს იგი ცდკა-სთან მატჩში. ისინი თამაშს აგებდნენ 1:4, მაგრამ შეძლეს ისე აერიათ არმიელთა დაცვის ხაზი, რომ ოთხი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს უჩვეულო ანგარიშით — 5:4.

აქ დიდი როლი შეასრულა პაიჭაძემ. იგი იყო მთავარი ღერძი, რომლის irგვლივაც მთელი მატჩი ბრუნავდა, ისეთი ელემენტი, რომელიც გუნდის მთელი ენერგიის გამტარს წარმოადგენდა.

ამ წლებში ყველა გუნდს, რომელიც თბილისელთა წინააღმდეგ გამოდიოდა, გადასაწყვეტი ჰქონდა ე. წ. „პაიჭაძის ნეიტრალიზაციის“ პრობლემა: როგორ დაეჭირათ იგი, როგორ ედევნებინათ თვალი მინდორზე მისი მოძრაობისთვის, რა ეღონათ მისი დრიბლინგისა და სწრაფი ფინტების წინააღმდეგ. ამიტომ პაიჭაძეს ყოველთვის ერთ ან ორ მცველს „უნიშნავდნენ“, რომლებიც აჩრდილივით დასდევდნენ მას, ზოგჯერ კი აშკარად აკრძალულ ილეთებსაც იყენებდნენ. ამ შემთხვევაში იგი ყველა მაღალი კლასის ფორვარდის ბედს იზიარებდა.

პაიჭაძეს ბევრი ფეხბურთელისგან განასხვავებდა კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი — კორექტული თამაში. არც ერთი ტექნიკური ფეხბურთელი არ იყენებს უხეშ ილეთებს, ძალისმიერი ბრძოლის ხერხს, მაგრამ ბორის პაიჭაძის კორექტულობა არა მარტო მის თამაშს ამშვენებდა, არამედ სამაგალითოც იყო ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის.

1938 წელს თბილისის დინამოელები ჯერ მხოლოდ იწყებდნენ თამაშის გარდაქმნას. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდები და გამოცდილნიც. მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატში მაინც მეექვსე ადგილი დაიკავეს. წინ გაუშვეს მოსკოვის 4 გუნდი და კიევის კოლექტივი. თბილისელმა ფორვარდებმა 53 ბურთი გაიტანეს და ეს მათი ტაქტიკური მომწიფების მაჩვენებელი იყო. უკვე შემდეგ წელიწადს, როცა თამაშის ახალი, ამასთან, მოდერნიზებული სისტემა თითქმის ყველა გუნდისთვის ხელმისაწვდომი გახდა, თბილისის დინამოელებმა 60 ბურთი გაიტანეს და სატურნირო ცხრილში II ადგილი დაიკავეს. ჩემპიონის წოდება მათ „სპარტაკს“ დაუთმეს.

მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა. ბორის პაიჭაძე დიდი ხანია აღარ იცვამს ბუცებს და სტადიონის მწვანე მინდორზე აღარ გამოდის, მაგრამ იგი დღემდე ტექნიკური, შემოქმედებითად მრავალფეროვანი, ლამაზი და კორექტული მოთამაშის სწორუპოვარი ნიმუშია.

• • •

სურათზე: ბ. პაიჭაძე კალენდარული მატჩის წინ.

●

(გაგრძელება იქნება).

მხოლოდ ქულით ჩამორჩა

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები, როგორც ყოველთვის, ახლაც ორ ჯგუფად დაიყვნენ: პირველ ჯგუფში ასპარეზობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის კოლექტივები, მეორეში რესპუბლიკის სხვა 25 ქალაქისა და რაიონის სპორტსმენები, მაგრამ პროგრამა და ჩათვლის სისტემა საერთო იყო, განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ II ჯგუფში მოასპარეზე კოლექტივების წევრთა რაოდენობა ერთობ შეზღუდული გამოდგა.

გუნდებს ჩათვლას ის სპორტსმენები აძლევდნენ, რომლებიც I-X ადგილებს დაიკავებდნენ და II თანრიგის ნორმატივს შეასრულებდნენ. სხვა თანრიგების შესაბამისი შედეგები შეუფასებელი რჩებოდა. თუ ჩემპიონიც III თანრიგის მაჩვენებლით გაიმარჯვებდა, თავის გუნდს მხოლოდ პირველი ადგილისთვის განკუთვნილ ქულათა ნახევარს აძლევდა.

ჩათვლის ამგვარმა სისტემამ ნათლად დაგვანახვა 1954-55 წლებში დაბადებულ მოსწავლე-მძლეოსანთა მომზადების დონე. საბოლოოდ ჩათვლა როგორც გოგონებში, ისე ჭაბუკებში მხოლოდ თბილისის, აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის კოლექტივებმა მიიღეს. სამხრეთ ოსეთის გოგონებმა და რუსთავის ჭაბუკებმა თითო ქულაც ვერ დაიმსახურეს. რაც შეეხება მეორე ჯგუფის გუნდებს, ბიჭებში ჩასათვლელი ქულები მოიპოვეს, მახარაძის, ონის, ხაშურის, ფოთის, ლენტეხისა და დუშეთის სპორტსმენებმა, გოგონებში — მარტო სამტრედიის მძლეოსნებმა.

მთელ რიგ სახეობებში (გოგონათა შორის — 1500 მეტრზე რბენაში, 200 მეტრზე თარჯრბენში, ბადროს ტყორცნაში, ესტაფეტაში; ბიჭებში — 200 მეტრზე თარჯრბენში, 3000, 5000 მეტრზე რბენაში, შუბისა და უროს ტყორცნაში, სამხტომში, 4X400 მეტრზე ესტაფეტაში) მეორე თანრიგის შედეგი ვერავინ აჩვენა, თუმცა ბევრ სხვა სახეობაში ამ თანრიგის მაჩვენებელს პრიზიორებს გარდა კიდევ რამდენიმე ათლეტი შესწვდა.

ამ შეჯიბრებაში სულ ორი რესპუბლიკური რეკორდი დამყარდა. 1500 მეტრზე რბენაში ბ. ბიკადირის რეკორდზე უკვე ვწერდით. ბოლო დღეებში ასეთივე მიღწევა მოიპოვა ბათუმელი მწვრთნელის კ. გიორგაძის აღსაზრდელმა ა. მატიშევმა, რომელმაც 400 მეტრი 51,5 წამში გაირბინა. ძველ რეკორდს (52,4) გადააჭარბა მეორე პრიზიორმა ი. ბიხანოვმაც (თბილისი I) — 51,8.

შედარებით დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ შუბის მტყორცნელი, სიგრძეზე მხტომელი და 200 მეტრზე მორბენალი გოგონები, 200 და 400 მეტრზე მორბენალი, სიგრძეზე მხტომელი და ათჭიდელი ჭაბუკები. თითოეულ ამ სახეობაში II თანრიგის შედეგი 4-5 სპორტსმენმა აჩვენა.

როგორც ვწერდით, 1954-55 წლებში დაბადებულმა სპორტსმენებმა გაისად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში უნდა იასპარეზონ. იქ ჩათვლის სისტემა სხვაგვარია — გუნდები ქულებს სპორტსმენთა ყველა შედეგის მიხედვით მიიღებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკავშირო სპარტაკიადაში წარმატება იოლი მოსაპოვებელი იყოს. თუ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ რესპუბლიკურ ტურნირში გამოვლენილი ხარვეზების დაძლევისთვის აქედანვე არ იზრუნა, საკავშირო სპარტაკიადაში ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდებით.

ო. გელაშვილი.

• • •

ტექნიკური შედეგები. გოგონები. რბენა. 200 მ. თ. ლოლაძე (თბილისი I) — 26,2, ნ. ზაგრაშვილი (რუსთავი) — 26,5, ტ. მინინა (აფხაზეთი) — 26,7, **400 მ.** თ. მატიცინა (თბილისი, პირადი) — 1.00,5, ს. ნაუმოვა (რუსთავი) —1,01,0, მ. ჩაჩუა (ზუგდიდის რაიონი, პირადი) — 1.03,3, **1500 მ.** ლ. მაკაროვა (ქუთაისი) —5.01,2, ნ. სუდაკოვსკაია (თბილისი I) — 5.17,5, ნ. ბუშმაკინა (ახალციხე) — 5.21,2. **ესტაფეტა. 4X100 მ.** თბილისი —51,9, რუსთავი —52,0, აფხაზეთი — 52,2, **4X400 მ.** ქუთაისი — 4.20,4, აჭარა 4.36,0. აფხაზეთის გუნდის შედეგი (4.17,4) წესის დარღვევისთვის მსაჯთა კოლეგიამ გააუქმა. **200 მ. თარჯრბენი.** ო. ოსტაპენკოვა (თბილისი, პირადი) — 33,2, მ. მაღლაფერიძე — 34,5, ლ. გერხელიძე (ქუთაისი) — 35,5. **სიგრძეზე ხტომა.** ე. სტეეკინა (აჭარა) — 519, დ. აბზიანიძე (ქუთაისი) — 517, ე. ივანოვა (თბილისი I) — 504. **ბადროს ტყორცნა.** ლ. მიგინეიშვილი (სამტრედია) — 35,72, დ. ცერცვაძე (ხაშური) — 35.44, ტ. შტუკატუროვა (აჭარა)—34,70. **შუბის ტყორცნა.** ნ. სოსნოვილოვა (აფხაზეთი) — 39,70, შტუკატუროვა —38,52, ზ. გრიგორიანი (თბილისი, პირადი) — 38,10. **ხუთჭიდი.** ე. ყარდაშოვა (აჭარა) — 3553, ნ. სტეპანოვა (ქუთაისი) — 3220, ე. პიტენკო (აფხაზეთი — 3188.

ჭაბუკები. რბენა. 200 მ. ვ. კოზელსკი (ქუთაისი) — 23,0, ბ. მექვაბიშვილი (მახარაძე) — 23,3, ს. ჯოტიანი (აფხაზეთი) — 23,5. **400 მ.** მატიშევი — 51,5, ბიხანოვი — 51,8, ვ. პოგოსევი (აფხაზეთი) — 52,8, **3000 მ.** ვ. მელაშვილი (თბილისი I) — 9.36,5, მ. ხაჩატურიანი (ახალციხე) — 9.47,3, ბ. ბიკადირი (აფხაზეთი) — 9.54,0, **5000 მ.** გ. იაზბარიანი — 17.56,7, ა. კარპენკო (გორი) — 17.58,5, თ. გვრიტიშვილი (ხაშური) — 18.25,2. **ესტაფეტა. 4X100 მ.** თბილისი — 45,0, აჭარა — 45,2, ქუთაისი — 45,7, **4X400 მ.** ქუთაისი —3.38,6, აფხაზეთი — 3.43,4, აჭარა — 3.58,2. **თარჯრბენი. 110 მ.** ქ. ტუკვაძე (ქუთაისი) — 16,4, გ. შუბინი (თბილისი I) — 17,7, ვ. პაიჭაძე (ფოთი) — 17,9, **200 მ.** ტუკვაძე 26,9, კოზელსკი (ქუთაისი, პირადი)—27,3, ვ. ანეტიანი (აფხაზეთი) — 28,7, **400 მ.** ტუკვაძე — 58,8, ი. ქადეიშვილი (თბილისი, პირადი) — 1.00,7, ე. ჩოგოვაძე (ქუთაისი) — 1.01,7. **სიგრძეზე ხტომა.** ბ. კიკნაძე (თბილისი, პირადი) — 652, ვ. ელისტრატოვი (დუშეთი) — 651, ი. ტაზაგულოვი (თბილისი I) — 635. **სამხტომი.** ა. ვერლანინი (აჭარა) — 13,56, რ. გასპარიანი — 13,27, გ. პლიევი (თბილისი, პირადი) — 13,14. **შუბის ტყორცნა.** ვ. ხუბაევი (თბილისი I) — 53,14, ე. გიგაური (თბილისი, პირადი) — 52,30, ტ. ზასეევი (სამხრეთ ოსეთი) — 51,90. **უროს ტყორცნა.** გ. ელიაშვილი — 44,18, შ. აგიშევი (თბილისი I) — 41,64, ვ. სამოილოვი (აჭარა) — 39,64. **ბირთვის კვრა.** ნ. ქესაშვილი (ხაშური) — 13,33, რ. ბენიაშვილი — 11,21, გ. უშვერიძე (თბილისი, პირადი) — 10,50. **ათჭიდი.** ლ. ბოლქვაძე (მახარაძე) — 6095 ვ. ბადეცკი (თბილისი I) — 5574, თ. ორდენიძე (ონი) — 5549.

გუნდური. I ჯგუფი: თბილისი — 222 ქულა, ქუთაისი — 158, აჭარა — 111. **II ჯგუფი:** მახარაძე — 68, ონი — 26, ხაშური —18.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის გუნდს, რომელმაც 69 ქულა მოაგროვა, მახარაძის რაიონის კოლექტივი მხოლოდ ქულით ჩამორჩა, ეს აფხაზეთის სპორტსმენთა სასარგებლოდ როდი ლაპარაკობს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც ათობით მწვრთნელი მუშაობს, მახარაძელებმა ტოლი არ დაუდეს.

მეოთხედფინალური მატჩების მოლოდინში

3. რა მოხდა სევილიაში?

„როცა პეტროსიანმა მეშვიდე პარტია დაამთავრა, ჰიუბნერმა მაშინვე მიულოცა გამარჯვება. იქვე, მაყურებელთა თვალწინ აღელვებულმა დახია ბლანკი პარტიის ჩანაწერით და სწრაფად დატოვა სცენა. იქნებ იმ წუთში მიიღო მან ის გადაწყვეტილება, რომელმაც ყველა ესოდენ გააოცა",— წერს პეტროსიანის მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ი. ზაიცევი. ასეთი იყო პეტროსიან-ჰიუბნერის მატჩის ფინალი.

რა მოხდა სევილიაში? რამ გამოიწვია მატჩში ჰიუბნერის მოულოდნელი დანებება?

თვით პეტროსიანი ჯერ არაფერს გვიამბობს. იგი ვ. კორჩნოისთან მატჩისთვის მზადებითაა დაკავებული. სამაგიეროდ, შთაბეჭდილებას გვიზიარებენ მისი სეკუნდანტი, დიდოსტატი ა. სუეტინი და მწვრთნელი ზაიცევი.

—ჰიუბნერმა თავიდანვე მოლოდინის ტაქტიკა აირჩია. იგი თითქოს ეპატიჟებოდა პეტროსიანს, რომ პირველს დაეწყო მოგებაზე თამაში. თავად პოზიციაში სისუსტეების შექმნას გაურბოდა, თამაშობდა დიდი სერიოზულობით. პარტიის დროს იშვიათად თუ მოსცილდებოდა დაფას, — გვიამბობს ზაიცევი.

თამაშის პირობები მეტოქეებს საუცხოო ჰქონდათ — 80 მაყურებელზე გათვალისწინებული დარბაზი კონდიცირებული ჰაერით. კვირაში ოთხ პარტიას თამაშობდნენ. ჰიუბნერს მწვრთნელად გამოცდილი საერთაშორისო ოსტატი ხეხტი (გფრ) ახლდა.

პირველი პარტია უაღრესად დაძაბული გამოდგა. პეტროსიანმა ფხიზელი დაცვით გააყაიმა იგი. უშელავათო ჭიდილი მეორე პარტიაშიც ყაიმით დასრულდა. მერე კიდევ ოთხი ყაიმი მოჰყვა ერთმანეთს, ერთი 14 სვლაშიც კი.

— ნათელი გახდა, რომ როგორც წაგებათა, ისევე ყაიმების სერიასაც შეუძლია მოჭადრაკე წონასწორობიდან გამოიყვანოს, — წერს სუეტინი. — ეს ყაიმები პეტროსიანისთვის უჩვეულო როდი იყო. სპასკისთან 1966 წლის მატჩშიც მან პირველი ექვსი პარტია ყაიმით დაამთავრა, მეშვიდე კი მოიგო. სევილიაში კი ყოველი ყაიმი ფსიქოლოგიურად მოქმედებდა ჰიუბნერზე, მისი ნერვიულობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა.

როგორც ჩანს, ჰიუბნერი გრძნობდა, რომ ფინიშზე ყოველი შეცდომა შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. ფიზიკურად ისედაც სუსტ ახალგაზრდას ფსიქოლოგიურმა განცდებმა ობიექტურობის გრძნობა მოუდუნა.

— როცა მეხუთე პარტიაში, სრულიად თანაბარ პოზიციაში, პეტროსიანმა ჰიუბნერს ყაიმი შესთავაზა, იგი როგორღაც უხალისოდ დათანხმდა. შევატყვე: გერმანელ მოჭადრაკეს ობიექტურობა ღალატობდა, — წერს ზაიცევი. მისივე აზრით, შეცდა ჰიუბნერი, როცა მანქანით საექსკურსიოდ გაემგზავრა ჰამბურგს დასვენების დღეს. შორმა გზამ კიდევ უფრო მოქანცა იგი. ჩანს, ნერვები ვერც ამ გასეირნებამ დაუმშვიდა.

— მეექვსე პარტიის შემდეგ ჰიუბნერმა მოულოდნელად მოითხოვა თამაში დახურულ დარბაზში, ესე იგი, უმაყურებლოდ. მიზეზი: დარბაზში ხმაური შემოდისო. ბუნებრივია, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა უაზროდ მიიჩნია ფინიშზე მატჩის პირობების შეცვლა. მით უმეტეს, რომ ამის საფუძველი არ არსებობდა. მაგრამ მთავარმა არბიტრმა გოლომბეკმა მაინც გამოიტანა გადაწყვეტილება: დარბაზში ნორმაზე მეტი ხმაურის შემთხვევაში თამაში სპეციალურ ოთახში გაგრძელდებაო, — გვიამბობს ზაიცევი. — გარეგნულადაც იგრძნობოდა, რომ ჰიუბნერი შინაგან კრიზისს განიცდიდა. თუ დასაწყისში მოღიმარი, უშუალო იყო, ფინიშზე განმარტოებით ეჭირა თავი. ჩანს, გადამწყვეტი შეხვედრისთვის ემზადებოდა.

მეშვიდე პარტიაში ჰიუბნერმა თავად შეუტია, კარგი პოზიციაც მიიღო, მაგრამ გადაღლამ იჩინა თავი. მან გამორჩა პეტროსიანის დაცვითი კომბინაცია. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ხარისხის შეწირვით გაათანაბრა თამაში. ჰიუბნერმა ყაიმი შესთავაზა, მაგრამ პეტროსიანმა არ მიიღო წინადადება. საჭირო იყო ზუსტი თამაში, ჰიუბნერი კი ამ მხრივ სცოდავდა.

— ჰიუბნერის მეფისთვის გამოცხადებული პირველი ქიში შვიდი პარტიის მანძილზე მატჩის ბოლო სვლა აღმოჩნდა, — შენიშნა პეტროსიანმა.

მეორე დღეს დილით გოლომბეკმა სუეტინს აცნობა, რომ ჰიუბნერი თმობს მატჩს.

„ჰოლში რომ ჩავედით, ჰიუბნერს შევხვდით. მან მდუმარედ ჩამოგვართვა ხელი და ნერვიულად განაგრძო ბოლთის ცემა. მალე გოლომბეკი და ორგანიზატორები გამოჩნდნენ, საჭირო ფორმალობა ორიოდე წუთში დასრულდა"...

მატჩმა ცხადყო, რომ პეტროსიანს კვლავ მტკიცე ნერვები აქვს და ჩვეული ოლიმპიური სიმშვიდე არ დაუკარგავს.

დაირხა ხმები: პეტროსიანი კორჩნოისთან მატჩში ჰიუბნერთან არჩეული ტაქტიკით ვერაფერს გახდებაო. ვინ იცის. განა ტაქტიკის შეცვლა არ შეიძლება? როგორ ფიქრობთ, კორჩნოი მასთან იგივე მეთოდით ითამაშებს, როგორც გელერთან? რა თქმა უნდა, არა.

4. კორჩნოი ახლაც ფორმაშია

ერთმა დიდმა მოჭადრაკემ მეორე ასევე დიდი მოჭადრაკე რომ დაამარცხოს, საჭიროა ისეთი გზა გამოიყენოს, რაც მისი მეტოქისთვის მოულოდნელი, ახალი ან უცნობი იქნება, — ამბობდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვ. სტეინიცი. ვ. კორჩნოიც ასე მოიქცა ე. გელერთან მატჩში.

კორჩნოი — გელერის ორთაბრძოლის დაწყებამდე მომავალ გამარჯვებულს ვერავინ ასახელებდა. ეს იმიტომ, რომ მეტოქენი დაახლოებით თანაბარი ძალისა არიან. გელერის ნაკლი მხოლოდ ის გახლდათ, რომ ადრე მატჩებს წარუმატებლად თამაშობდა. მაგრამ ეს დიდ შეღავათს როდი აძლევდა კორჩნოის.

კორჩნოიმ ღრმად გაიაზრა მომავალი ბრძოლა. პირველ ყოვლისა, იგი გაეცნო გელერის რამდენიმე ასეულ პარტიას და მისი შემოქმედების დღევანდელი სახე შეისწავლა.

კორჩნოიმ და მისმა დამხმარეებმა — ლენინგრადელმა ოსტატებმა გ. სოსონკომ და ვ. ოსნოსმა დაასკვნეს, რომ გელერი ახალგაზრდობაში ხალისით თამაშობდა რთულ, მწვავე პოზიციებს, კარგად ითვლიდა ვარიანტებს და გაბედულად მიდიოდა კომბინაციურ გართულებებზე. მეტოქენი ვერ უძლებდნენ მის აზვირთებულ ენერგიას. წლებმა თავისი გაიტანეს. 46 წლის გელერი ისევ მიილტვის მძაფრი ბრძოლისკენ, ეძებს კომბინაციებს, მაგრამ უწინდებურად მტკიცე და ზუსტი ველარაა ვარიანტების გამოანგარიშებაში, მალე იღლება. ამიტომ კორჩნოიმ გადაწყვიტა ითამაშოს ისე, როგორც გელერს უყვარს, უფრო მეტიც — თავად შეუწყოს ხელი თავბრუდამხვევი გართულებების წარმოქმნას, სადაც აუცილებელია ელექტრომანქანის სიზუსტით თამაში.

თავისი ჩანაფიქრის შესაბამისად კორჩნოიმ ურთულესი სადებიუტო რეპერტუარი აირჩია. ის დებიუტები (ძველინდური დაცვა, სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტი), რომლებშიც თავიდანვეა საჭირო ვარიანტების გათვლა.

მატჩმა ცხადყო, რომ კორჩნოის ჩანაფიქრი სწორი იყო. გელერი „იძირებოდა" სწორედ იმ პოზიციებში, რომლებიც თავად მოსწონდა, ხშირად იყო ცაიტნოტში.

რა თქმა უნდა, გელერი ბევრ ენერგიას ანდომებდა სიძნელეების დაძლევას. ამიტომაც, როცა ანგარიში (2:2) გაათანაბრა, ერთბაშად მოეშვა. ბოლო ოთხ შეხვედრაში მან მხოლოდ ნახევარი ქულა დააგროვა.

კორჩნოის გამარჯვებამ (5,5:2,5) ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იგი ახლაც, ტ. პეტროსიანთან მატჩშიც ფავორიტად მიიჩნიეს.

რა მოიფიქრეს კორჩნოიმ და მისმა მრჩევლებმა? რას შესთავაზებენ ისინი მსოფლიოს ექს-ჩემპიონს?

საინტერესოა, რომ პეტროსიან—კორჩნოის მატჩის თაობაზე არსებობს მიმომხილველთა და სპეციალისტების უფრო კონკრეტული შეხედულებები, ვიდრე ეს გელერთან კორჩნოის მატჩის წინ იყო. აი, ზოგიერთი ეს მოსაზრება:

ბ. სპასკი ამბობს: „ჩემი აზრით, კორჩნოის გაუჭირდება პეტროსიანთან თამაში. ამიტომ ამ მატჩში პეტროსიანს უკეთესი შანსები აქვს". რ. ფიშერის შეხედულებით, ფინალურ მატჩში თამაშის უფლებას კორჩნოი მოიპოვებს. ნ. გაფრინდაშვილი ფინალში პეტროსიანისა და ფიშერის შეხვედრას წინასწარმეტყველებს.

თ. ბიორბაძე.

● ●

დღეს პირველი პარტიაა

დღეს მოსკოვში, ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში, დაიწყება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი: ტ. პეტროსიანი — ვ. კორჩნოი.

მატჩში 10 პარტია უნდა გათამაშდეს. გაიმარჯვებს ის, ვინც ადრე დააგროვებს 5,5 ქულას. მაგრამ თუ მატჩი ყაიმით (5:5) დამთავრდა, მაშინ დაინიშნება დამატებით 6 პარტია. ის, ვინც პირველ პარტიას მოიგებს, მატჩში გამარჯვებასაც მოიპოვებს. თუ ექვსივე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, მაშინ ფინალისტს კენჭისყრა გამოავლენს.

ამავე წესით ჩატარდება მეორე ნახევარფინალური მატჩი — რ. ფიშერი (აშშ) — ბ. ლარსენი (დანია), რომელიც ზევ აიღებს სტარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჟაკ ანკეტილის სანაძლეო

ველოსიპედისტთა ყველა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას ბოლო წლებში ბელგიელი ე. მერქსი ლიდერობს. მას არ ჰყავს ტოლი საგზატკეცილო რბოლის არც ერთ სახეობაში. ყველაზე დიდი სახელი მერქსს „ჟირო დ' იტალიასა" და „ტურ დე ფრანსში" გამარჯვებებმა მოუტანა. ამან სპეციალისტთა შორის წარმოშვა აზრი, თითქოს მერქსი განსაკუთრებით ძლიერი მხოლოდ იქ არის, სადაც საჭიროა გამძლეობა და მიზანდასახულობა. რაც შეეხება ერთდღიან რბოლებს, პროფესიონალ ველოსიპედისტთა შორის უძლიერესს გაუჭირდება მათი მოგებაო.

წლევანდელი სეზონი მერქსზე ფსიქოლოგიური იერიშებით დაიწყო. გაზეთები პირდაპირ წერდნენ, რომ მისი აღარავის ეშინია და მეტოქეებიც მზად არიან შეეჯიბრონ ნებისმიერ რბოლაშიო. მაგრამ აი, დაიწყო სეზონი და მერქსი კვლავ გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა. მან ზედიზედ მოიგო სარდინიის და ბელგიის ტურები, „დოფინ ლიბერის" დიდი პრიზი და რბოლა პარიზიდან ნიცამდე. შემდეგ დაიწყო კლასიკური ერთდღიანი რბოლების პერიოდი. მერქსის მოწინააღმდეგენი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ველოსიპედისტს ამ შეჯიბრებებში გამარჯვება არ ეწერა. სახელგანთქმულმა ჟაკ ანკეტილმა — „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის ჩემპიონმა სანაძლეოც კი დადო, რომ მერქსი ვერც ერთ ერთდღიან რბოლას ვერ მოიგებდა.

ანკეტილი დამარცხდა. პირველსავე კლასიკურ რბოლაში (მილანი — სან-რემო), რომელშიც სტარტი 200-ზე მეტმა ველოსიპედისტმა აიღო, მერქსმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. ამას მოჰყვა ტრიუმფი ბელგიის, საფრანგეთისა და გფრ-ის გზებზე. წლეულს მერქსმა საერთო ჯამში 18 შეჯიბრება მოიგო და ამჟამადაც დიდი უპირატესობით ლიდერობს შემაჯამებელ რბოლას („სუპერ პრესტიჟ პერნო" — ეს ისეთი შეჯიბრებაა, სადაც ჯამდება სეზონის ყველა რბოლის შედეგი). მერქსს ჯერჯერობით 230 ქულა აქვს, ხოლო 11 ადგილზე მყოფი 32 წლის ბელგიელი ფ. ბრაკე, რომელმაც ამას წინათ ესპანეთის „ვუელტა" (მნიშვნელობით მესამე შეჯიბრებაა მსოფლიოში) მოიგო, თავის დიდ თანამემამულეს მთელი 155 ქულით ჩამორჩება. როგორც ხედავთ, მერქსს ყველა შანსი აქვს გაიმარჯვოს „პერნოში".

სურათზე: ე. მერქსი (მარჯვნივ) ერთ-ერთი რბოლის დამთავრების შემდეგ.

მერქსი მაინც მერქსია

ნანსი, 2 ივლისი. „ტურ დე ფრანსის" პირველი ეტაპები ბელგიელ ველოსიპედისტთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა. ლიდერობა ხელთ იგდო ამ ველორბოლაში არაერთგზის გამარჯვებულმა ე. მერქსმა. მაგრამ აი დამთავრდა IV ეტაპი (242 კმ) და გამარჯვების სიხარული პირველად იზეიმეს ფრანგებმა. ეტაპი მოიგო ჟ. პ. ჟენემ. V ეტაპზე (208 კმ) ერთი საკმაოდ რთული სამთო უღელტეხილი იყო, ე. წ. „გრამონსკის კედელი". აქ თავი გამოიჩინეს იტალიელმა ველოსიპედისტებმა. ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრა პ. ბუერა. მან უკანასკნელ მეტრზე გადაუსწრო ბელგიელ ჟ. სტევენსს.

ლიდერის მაისურს კვლავინდებურად ე. მერქსი ინარჩუნებდა.

VI ეტაპი ორი ნახევარეტაპისგან შედგებოდა. დღის პირველ ნახევარში გაიმარჯვა ბელგიელმა ე. ლემანმა, საღამოთი კი ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე იტალიელმა ჯ. მოტამ გადაკვეთა. ამ წარმატებით იტალიელი ველოსიპედისტი საერთო ჯამში II ადგილზე გადავიდა. იგი მერქსს მხოლოდ 44 წამით ჩამორჩება.

(საქ. ინფ.).

ჩოგბურთის კორტებზე

უიმბლდონის ტურნირში ვაჟთა წყვილებმა ნახევარფინალური შეხვედრები გამართეს. ავსტრალიელებმა — ლევერმა და ემერსონმა დაამარცხეს თანამემამულენი ალექსანდერი და დენტი — 6:4, 3:6, 6:3, 6:4. ფინალში ავსტრალიელთა მეტოქეები იქნებიან ამერიკელები — რალსტონი და ეში. ამერიკელებმა ნახევარფინალში მოუგეს მატჩი გრებნერსა (აშშ) და კოხს (ბრაზილია) — 8:9, 6:3, 8:6, 6:4.

შერეული წყვილების ტურნირში მეტრეველმა და მოროზოვამ წააგეს შეხვედრა სტოუვთან და მოუდთან — 6:3, 3:6, 4:6.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

დღეს და ხვალ

თბილისში ჩატარდება საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები და ნაკრები გუნდები.

სპორტის მოყვარულთ საშუალება ექნებათ ნახონ სხვადასხვა სახის დაბრკოლებათა გადალახვა, სახანძრო ესტაფეტები, სასწავლო კოშკის IV სართულის შტურმი და სხვა მეტად საინტერესო შეჯიბრებები.

ასპარეზობა ჩატარდება: 4 ივლისს — სახანძრო ნაწილის სპორტმოედანზე (საბურთალოს ქ. № 28). 5 ივლისს — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სახანძრო ნაწილის სპორტმოედანზე (ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა).

დასაწყისი 9 ს.

საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 07689